საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/2500
20/09/2023

2500-01-2-202309201145

მოქალაქე ალექსანდრე ვაჩაძეს (პ/ნ 01001022603)
მის.: ქ.თბილისი, ქერჩის ქ. №22, ბინა №34ᵃ
მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4
ელ-ფოსტა: aleko@proservice.ge
ტელ.:599 96 95 06

ბატონო ალექსანდრე,

2023 წლის 18 სექტემბრის №01/3139 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მეოთხე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, სააგენტო განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის: „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელებას ან/და საიდენტიფიკაციო ნომერს (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართს და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაციას), ,,დ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფაქტების, გარემოებების ან/და მტკიცებულებების მითითებით, ასევე, ინფორმაციას სავარაუდო დარღვევის ჯგუფურ ხასიათზე; ,,თ “ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებას განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე, ხოლო ,,ი“ ქვეპუნქტის თანახმად, განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადებით ვერ

დგინდება მოვაჭრის დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი, ასევე განცხადებაში არ გაქვთ მითითებული დარღვევის შესაბამისი ფაქტები, გარემოებები ან/და მტკიცებულებები. ამასთან, განცხადება არ არის ხელმოწერილი და არ შეიცავს მითითებას განცხადებაში წარმოდგენილი გარემოებების სიზუსტეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე